ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3601131

ნომერი: AR1543260

თარიღი : 26.09.2017

გაცემის თარიღი : 17.10.2017

გაცნობის თარიღი : 17.10.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გამრეკელი , N 23 , მიმდებარედ ნაკვეთი 25/162;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალექსანდრე ქამუშაძე პ/ნ 01030028695
- თბილისი, არჩილ ქურდიანის ქ. #19

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 27 აგვისტოს №1452832 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 26 სექტემბერს №AR1543260 განცხადებით მომართა ალექსანდრე ქამუშაძემ და მოითხოვა ქ. თბილისის

მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 27 აგვისტოს №1452832 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 27 აგვისტოს №1452832 ბრძანებით შეთანხმდა: ქ. თბილისში, გამრეკელის ქუჩის #23, მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ №01.14.02.025.162) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.
წარმოდგენილი განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2014 წლის 27 აგვისტოს №1452832 ბრძანებაში ცვლილების შეტანას და განმარტავს, რომ საცხოვრებელი ფართობად უნდა დაფიქსირდეს 907,0 კვ.მ, ნაცვლად, 560.4 კვ.მ-სა, ხოლო საერთო ფართობად უნდა დაფიქსირდეს 1278,2 კვ.მ, ნაცვლად, 1136.5 კვ.მ-სა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
სამსახურმა გამოიკვლია 2017 წლის 26 სექტემბრის №AR1543260 განცხადებით წარმოდგენილი მოთხოვნა, შეადარა 2014 წლის 27 აგვისტოს №1452832 ბრძანებით შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციას და დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა საფუძვლიანია. შესაბამისად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია შეიტანოს შესაბამისი ცვლილება მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 27 აგვისტოს №1452832 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში და საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდეს: 907,0 კვ.მ, საერთო ფართობად დაფიქსირდეს: 1278,2 კვ.მ.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ.თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 27 აგვისტოს №1452832 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ.თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 27 აგვისტოს №1452832 ბრძანებასთან ერთად.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.